

სალომე პატარიძე
(საქართველო)

რეპრესიული და თერაპიული დავინცების მნიშვნელობა
ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელოში“¹

“Who controls the past, controls the future:
who controls the present, controls the past”.
George Orwell “1984”

კულტურულ ანთროპოლოგიაში, დისკურსის ანალიზში ან კულტურული მეხსიერების უახლეს კვლევებში ლიტერატურული ტექსტები სხვა კულტურულ არტეფაქტებთან ერთად, როგორებიცაა: ისტორიული და ფილოსოფიური შრომები, პოლიტიკური ტრაქტატები და სხვა, „დოკუმენტებად“ მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურული ტექსტები და საზოგადოებრივი რეალობა ერთმანეთისაგან განსხვავებულ სფეროებს წარმოადგენენ, მიმეტურ-ანარეკლურ მიმართებებს ავლენენ ერთმანეთის მიმართ, რადგან ლიტერატურულ ტექსტებს შესწევთ ძალა, კოლექტიურ-რეალური გამოცდილებების არტიკულაცია და რეკონსტრუქცია მოახდინონ (Erl, Rogendorf 2002: 79).

ქართველი კინოდრამატურგი, მუსიკოსი და მწერალი, ზაირა არსენიშვილი, ინტერვიუში აღნიშნავს, ყოველთვის გაცემას იწვევდა მასში ის გარემოება, რომ მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის კითხვისას მათში ვერ პოულობდა საქართველოს ისტორიის შემზარავი პერიოდის – რეპრესიების – ამოძახილს, მიუხედავად იმისა, რომ რეპრესიებთან პირდაპირი ან ირიბი შემხებლობა ყველა ოჯახს ჰქონდა. ზაირა არსენიშვილმა რეპრესია ამ ეპოქის მთავარ თემად მიიჩნია, ხოლო მისი ასახვარეკონსტრუქცია მხატვრულ ტექსტებში-მოვალეობად.

ჩაგვრის პირობებში გახსენებას შეიძლება პროტესტის/წინააღმდეგობის ფორმა ჰქონდეს. ტოტალიტარული ჩაგვრის პირობებში კულტურულ მეხსიერებაში ბუდობს გამათავისუფლებელი ძალა და კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბება მჩაგვრელისაგან გამიჯვნით მიიღწევა, ლიტერატურა კი ამ პროცესში კოლექტიური მეხსიერების მედიუმის როლს ასრულებს. სამწლიანი დამოუკიდებლობის დაკარგვისა და ქართველი ინტელიგენციის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ქართველი ერი საფრთხის წინაშე იდგა – საბჭოთა მრავალეროვან იმპერიაში გაუჩი-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული ფონდის მხარდაჭერით: YS-21-2639.

ნარებულები. კომუნისტური რიტორიკა საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ ხატავდა მომავალ სამოთხის სურათს, რომელშიც ლოკალური ნაციონალიზმი საბჭოთა ნაციონალიზმით უნდა ჩანაცვლებულიყო. მოგონება წარსულზე, რომელზეც ქართული ნაციონალური იდენტობა უნდა დაფუძნებულიყო, ახალი ისტორიული განაწესის (კომუნისტური იმპერიის აშენება) მიხედვით, მოძველებული იყო, ხოლო გაბატონებულ დისკურსებში – უგულებელყოფილი (ცაგარელი 2019: 5).

კულტურა საბჭოთა რეალობაში საქართველოში ეროვნული იდენტიფიკაციის შესაძლებლობა იყო, რითაც განისაზღვრებოდა ნაციონალური იდენტობა და ამ აქტით ემიჯნებოდა იმპერიულ პოლიტიკურ-ნაციონალურ სივრცეს, ხოლო ქართული თვითმყოფადი კულტურული და ისტორიული მეხსიერება იქმნებოდა „ნაციონალური ნარატივის კულტურის ნიმუშების მეშვეობით“ (ნიფურია 2016: 80). კულტურული მეხსიერება, ის ფასეულობები, ღირებულებები, მოგონებები, ტრადიციები, მითები აერთიანებენ და ქმნიან მნიშვნელოვან მემკვიდრეობას, რომელიც ისტორიული მეხსიერების და ამით ეროვნული იდენტიფიკაციის წინაპირობას წარმოადგენდა: „ნაციონალური ნარატივის კულტურის ინდოქტრინაცია მიმდინარეობდა ადრეული ასაკიდან, როცა, თავდაპირველად, პატრიოტული ღირსებით... ისტორიული რომანებით... ხდებოდა ახალგაზრდებში ნაციონალური სულისკვეთების აღზრდა“ (ნიფურია 2016: 81).

აღვიდა ასმანის მიხედვით, ადამიანური მეხსიერების უძველესი აღწერა, რომელიც რელევანტურია, როგორც ინდივიდებისათვის, ასევე საზოგადოებისა და კულტურებისათვის, შემდეგია: ადამიანური მეხსიერების უდიდესი ნაწილი იკარგება (Assmann 2018: 67). მეხსიერება ყოველთვის შევიწროებულია, ვინაიდან ის მიემართება ცალკეული ინდივიდის ან ჯგუფის პერსპექტივებსა და გამოცდილებებს. იმისათვის, რომ რაიმე მეხსიერებაში მოათავსო, დიდი ძალისხმევაა საჭირო და ეს ღირებული პროცესია, ვინაიდან მეხსიერება ქმნის საზოგადოებას, თუმცა ასმანი აღნიშნავს, რომ ზემოთ ხსენებული პროცესი დავიწყების გარეშე წარმოუდგენელია. გახსენებაცა და დავიწყებაც ადამიანური მახასიათებლებია და ორივე მათგანი არც ცუდი და არც კარგია, მათი ფუნქცია უფრო მეტად ცხოვრების დამორჩილებაა. აღვიდა ასმანი გამოყოფს დავიწყების 7 ფორმას: პირველ სამ ფორმას (ავტომატური დავიწყება – *automatisches Vergessen*, გადანახვითი დავიწყება – *Verwahrensvergessen*, სელექციური დავიწყება – *selektives Vergessen*) მკვლევარი ნეიტრალურად აფასებს და მათ ფუნქციად მენტალურ ფილტრს ასახელებს. მეოთხე – რეპრესიული (*repressives Vergessen*) და მეხუთე – დაცვითი დავიწყება (*defenives Vergessen*) ნეგატიური კონოტაციის მატარებელია, ვინაიდან მათ შემთხვევაში დავიწყება აგრესიული ძალაუფლებრივი გა-

რემოსა და რეპრესიული სოციალური კლიმატის სტაბილურობის იარაღს წარმოადგენს. ბოლო მეექვსე და მეშვიდე დავინეების ფორმები – კონსტრუქტიული (konstruktives) და თერაპიული (therapeutisches) დავინეება ცალსახად პოზიტიურია და ტრამვული წარსულის დავინეებას მიემართება (Assmann 2018: 67-68).

Demnatio memoriae (მეხსიერების დასჯა) არის რეპრესიული/სადამსჯელო დავინეების ფორმა, რომელიც მოიაზრებს „მტრის“ სიმბოლურ განადგურებას, რითაც ის წაიბილნება. „ადამიანი მაშინ ცხოვრობს, როცა სახელი აქვს“ –ეს ძველი ეგვიპტური გამოთქმა, ალეიდა ასმანის მიხედვით, საყოველთაოდ რელევანტურია. ამით აცხადებს მკვლევარი სახელის გაქრობისა და მეხსიერების დასჯას მძიმე მსჯავრად, ვინაიდან პერსონის არსებობას ღრმად ურტყამს და ამით ანადგურებს. ისინი, ვისი სახელებიც ანალებიდან გააქრეს ან ქვის მონუმენტებზე წაშალეს, სიმბოლურად მეორედ კვდებიან. დავინეების დასახელებული ფორმა პერფორმატიული წინააღმდეგობითაა სახასიათო: ყურადღების კონცენტრაცია იმას მიემართება, რაც, ამავე დროს, აღქმიდან გაძევებულია. თუ ისტორიული არქივები გადანახვითი დავინეების შესაძლებლობაა და დემოკრატიული კულტურის ნაწილია-წარსულის სიძველეს კულტურული სამყაროს ნაწილად აღიარებს და ამ მიზეზით იცავს კიდევ, პოლიტიკური არქივები გასაიდუმლოებულია და წარმოადგენს ძალაუფლების კონტროლის ინსტრუმენტს. დიქტატურებში ტრანსფერენტულობის უფლება გამქრალია და ამიტომ არქივები ისტორიული კვლევებისათვის ხელმისაწვდომიც არ არის, ამით საჯაროობა გამოირიცხება და დიქტატურებს ეძლევა შესაძლებლობა იმისა, რომ წარსულის დანაშაულები ისტორიულად არ გაანალიზდეს, ძალადობრივი სისტემის მსხვერპლებს კი ერთმევათ უფლება, გახსენებისა და ისტორიების/ ამბების ამოთქმისა (Assmann 2018: 49-50). რეპრესიული დავინეებით იქმნება ისტორიის ერთმნიშვნელოვნება და ძალაუფლების საწარმოება.

თერაპიულ დავინეებაში გახსენებაა სწორედ მკურნალი ხასიათის, რათა ისტორიის ტვირთი აღიარებითა და სინანულით გადაილახოს და უკან მოიტოვონ, ეს შერიგებისა და სოციალური ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანია. უნდა გადაილახოს საერთო ძალადობრივი ისტორია, რაც შესაძლებელი გახდება გახსენებით. თერაპიული დავინეება ორ ფაზად მიმდინარეობს: 1. გახსენება 2. დავინეება , ამათგან გახსენება ნიშნავს წარსულის მოვლენების თავმოყრას, გადამუშავებასა და აღიარებას, ხოლო დავინეება მოიაზრებს გადალახვას , დისტანცირებას სოციალური მშვიდობისა და ახლის დასაწყისისთვის. მხატვრულად თერაპიული დავინეება ასე შეიძლება გავიაზროთ: წიგნის გვერდს სანამ გადაფურცლავ, ჯერ უნდა წაიკითხო. ქრისტიანულ კონტექსტშიც ცოდვა ჯერ უნდა ამო-

თქვა, რომ მიგეტევოს. კათარზისიც ამ პრინციპით ხორციელდება ხელოვნებაში – მტკივნეული მოვლენების რეინსცენირება სცენაზე საშუალებას იძლევა წარსულის ტკივილი კიდევ ერთხელ იყოს განცდილი და ამით დაძლეული. გახსენება და დავიწყება პოლიტიკურ გარდამავალ პროცესებს ეხმარება, რომ დიქტატურული რეჟიმები დემოკრატიად გარდაქმნან, სწორედ ასე შეიძლება იქცეს ტრავმული ისტორია წარსულად (Assmann 2018:66)

ზაირა არსენიშვილის რომანი „ვა, სოფელო“, რომელიც აღწერს 1920-50-იან წლებში საქართველოში მიმდინრე ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებს საქართველოს ერთი კუთხის, კერძოდ, კახეთის მაგალითზე, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს წარსულის დაუფლებას თვითგამორკვევასა და მომავლის ორიენტაციისათვის. ავტორი ტექსტში წარმოაჩენს ტოტალიტარულ რეჟიმში ადამიანის გაუფასურებისა და განადგურების შემზარავ სურათებს, ააშკარავებს ბოროტი რეჟიმის მოქმედების მიზნებსა და პრინციპებს პერსონაჟების მოგონებების, რეფლექსიისა და მისწრაფებების წარმოჩენის საფუძველზე. ტექსტის დასაწყისშივე მთხრობელი გადმოგვცემს ევას გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბავს, თუ როგორ ავალდებულებს ბებია რუსუდანი მთხრობელს, იყოს ევას გაპატიოსნების თანაზიარი, რითაც ავტორი იმპლიციტურად მიგვანიშნებს ტექსტის დასაწყისშივე ტრაგედიის გათავისებისა და ანალიზის აუცილებლობაზე. რუსუდანის გმირი ნაწარმოებში გვევლინება შვილიშვილის, მომავალი თაობის, ხსნის გასაღებად, რომელიც აცნობიერებს იმას, თუ როგორ შეიძლება მოახერხოს მომავალმა თაობამ ხელახლა ღირსეული, განწმენდილი ცხოვრების დაწყება მოგონებების გაცოცხლებით, ისტორიის ანალიზით, რაც ფაქტობრივ სიზუსტესაც მოიცავს ემოციურ-მორალურ განცდებთან ერთად, ამიტომაც მიმართავს რუსუდანი შვილიშვილს: „რაკი ღმერთმა ჩვენ ერთმანეთის თავი გვარგუნა... ჩვენი ვალია, გავიგოთ ერთმანეთისა და ჩავუღრმავდეთ ერთმანეთს“ (არსენიშვილი 2019: 156). ჩაღრმავება და ერთიმეორის გაგება რუსუდანის პერსონაჟისთვის დიდ და მნიშვნელოვან სამუშაოებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, რომელიც ინდივიდის ნგრევისა და საბოლოო გაქრობისაკენ ილტვის და ამისათვის იარაღად „ახალი ადამიანის“ (ჰანა არენდტი) პროექტს იყენებს.

„ისტორიული ქარტახილების“ (არსენიშვილი 2019: 155) მომსწრე რუსდანი და ევა ტექსტში წარმოგვიდგებიან თვითმყოფად ინდივიდებად, რომლებიც ჩანასახშივე ამოიცნობენ „დიადი“ რევოლუციის ჭეშმარიტ არსს და მთელი ტექსტის განმავლობაში ილტვიან რევოლუციისა და მისი მოტანილი ტოტალიტარული რეჟიმის დეკონსტრუქცია შვილიშვილების

თაობას შეაძლებინონ: „რევოლუცია! – მკვახედ შესძახა ბებია და მუშტი შემართა, – ასე მგონია, არცერთი სიტყვა ასე არ მძულს!.. როცა უშუალოდ შენ გატყდება თავს რევოლუციის მეხი და მედგარი, როცა იფეთქებს ძალადობა და უმეცრება, მკვიდრი საყრდენები თუ არა გაქვს, – და ვისა აქვს ასეთი საყრდენები, ერთ-ორს, მეტს კი არა, – ნავიდა ალაოზე სინდის-ნამუსი და გაირყვნა სიტყვა...“ (არსენიშვილი 2019: 156). რუსუდანის ამ მიმართვაში შვილიშვილისადმი იკითხება ტოტალიტარიზმის დესტრუქციული ძალის საშიშროება, რომელიც ადამინის ზედმეტად ქცევას (ჰანა არენდტი) ემსახურება „მათი საშუალებად გამოყენება კი არა, რაც მათ ადამიანად ყოფნას ხელშეუხებლად დატოვებდა და მხოლოდ მათ ადამიანურ ღირსებას დააზიანებდა, არამედ მათი, როგორც ადამიანების (qua Menschen) ზედმეტად ქცევა“ (არენდტი 1993: 202).

პიროვნების ზედმეტ ადამიანად გადასაქცევად საბჭოთა კავშირში ე.წ. „ახალ ადამიანს“ იყენებდნენ, ეს იყო Homo Sovieticus, რომელსაც არ ჰქონდა ეროვნებისა და იდენტობის განცდა (რატიანი 2019: 246). ეროვნებისა და იდენტობის გამოსარიცხად ტოტალიტარულ რეჟიმში მიზანმიმართულად იყენებდნენ წარსულის დავინყებას, რითაც ნაციონალურ ფასეულობების გაუჩინარებასთან ერთად მორალურ-ეთიკურ საყრდენასაც აცლიდნენ ადამიანებს.

ზაირა არსენიშვილის ტექსტში მთხრობელისა და მისი მეგობრის, ჩიკოს, მაგალითზე, რომლებიც ჯერ კიდევ ბალის მოსწავლეები არიან, ნათლად იკვეთება ახალი იდეოლოგიისა და კულტურულ-ნაციონალური ღირებულებების ჭიდილი, რაც ბინარული ოპოზიციით – ილია-სტალინი, „დიდი კაცი“ – ეროვნული გმირი – ცხადდება ტექსტში. ბავშვებისათვის ჯერ კიდევ ბუნდოვანია, თუ ბინარულ ოპოზიციაში რომელი ცნებაა დაქვემდებარებული, რადგან იდეოლოგიამ, რომელიც საბავშვო ბაღშივე იწყებს წარსულის ისტორიის გაქრობასა და სტალინზე, რევოლუციაზე სიმღერებისა და ლექსების საშუალებით ახალი ფიქციური რეალობის კონსტრუირებას, რომელშიც გმირის ახალი ხატება გმირი – სტალინის სახით წარმოდგება (ის ჩაგრულ ხალხთა დამცველი და მზრუნველია), ჩაანაცვლა კულტურული არქეტიპები და მეტიც, ისინი მიზანმიმართულ დავინყებას მისცა. ამის მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ საბჭოთა იდეოლოგიის მისწრაფება, რომ ახალი საბჭოთა კულტურა შეექმნათ, ხოლო კლასიკურ ტექსტებს, რომლებიც ეროვნული ფასეულობების რეპრეზენტატორებს წარმოადგენდნენ, გაცნობიერებულად ავინყებინებდნენ. ერთ-ერთი ასეთი ტექსტია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქართული ეროვნული იდენტობის მატარებელია და 30-იანი წლების შუა პერიოდამდე დავინყებას მიეცა (რატიანი 2019: 246). მეორე მხრივ, მთხრობელის ოჯახი, ევა, მაკა წარმოგვიდგებიან საბჭოთა წინააღმდეგობრივ ძალად,

რომლებიც აცნობიერებენ თვითგანსაზღვრულობის შენარჩუნების აუცილებლობას ეროვნული და მორალური გადარჩენისათვის, ამისათვის კი ხშირად უამბობენ ბავშვებს ილიას ტექსტებს, „ვეფხისტყაოსანს“ და არ ანებებენ, დაივინყონ კულტურული იდენტობის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები, კულტურული იდენტობა კი ხელს უწყობს ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებას, რომელიც ინდივიდში პირადობის ჩამოყალიბებას და კუთვნილების განცდას იწვევს. შედეგად, ჩიკოსთვის ილიად გადაქცევა საოცნებო მდგომარეობაა: „მე ილია უნდა გამოვიდე“, – გამოაცხადებს ჩიკო მას შემდეგ, რაც რუსუდანი „კაკო ყაჩაღს“ დაადგმევინებს სცენაზე ბავშვებს და მონუსხული ჩიკო შემდეგ ფრაზას ორჯერ გაიმეორებს: „ხოშგელდი, ძმაო, მე ვარ მდიდარი, ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა, გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი და ვერას მაკლებს აქამდე მტრობა... (არსენიშვილი 2019: 250). მთხრობელი კი ყვება ილიას „ყვარლის მთებს“ ბებიას თხოვნით, რომელიც ამონმებს, ხომ არ დაავინყდა შვილშვილს ლექსი და ხაზს უსვამს თავის დაუოკებელ სურვილს, შვილიშვილისაგან გაიგოს სიტყვები: „სამშობლო მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა, მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავწყებასა...“. ბებია რუსუდანის ინიციატივით ლიტერატურული ტექსტების სცენაზე გადატანა, პერსონაჟების მდგომარეობის, მისწრაფებების, სურვილების გათავისება და არტიკულაცია საუკეთესო შესაძლებლობა იყო წარსულის სურათების გაცოცხლებისა და ამით წარსულისა და აწმყოს დაკავშირებისა (ისტორიული მეხსიერება), რაც ტოტალიტარულ, ფსევდოიდილიურ სამყაროში ავთენტური არსებობის/თვითობის გაცნობიერების ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობა იყო. დასახელებული აქტით რუსუდანის პერსონაჟი ქმნის საბჭოთა რეალობაში ალტერნატიულ, ნაციონალურ ნარატივზე დაფუძნებულ ანტისაბჭოთა სივრცეს, რომელიც ტიპოლოგიურ კავშირში იმყოფება სამოციანელთა სივრცესთან (წიფურია 2016: 72).

რეპრესიული დავიწყებისა და წარსულის საშუალებით ტოტალური კონტროლის საკითხები, რომლებიც ისტორიის ერთმნიშვნელოვნებას განსაზღვრავდა, გაანალიზებული აქვს ჯორჯ ორუელს თავის ძალიან ცნობილ რომანში „1984“. ორუელი აკვირდებოდა დავიწყების ძალადობრივ ფორმებს, რომლებიც ძალაუფლების ლეგიტიმაციას და სტაბილიზაციას ემსახურებოდა, ესენია: 1. პროპაგანდა 2. დამოკიდებულებების კონტროლი 3. ტვინის გამორეცხვა (Assmann 2018: 50).

ზაირა არსენიშვილის რომანში პროპაგანდა ბედნიერი ცხოვრების უალტერნატივო შესაძლებლობაზე – საბჭოთა კავშირზე – აპელირებს და არწმუნებს ადამიანებს, რომ ამ ბედნიერებისათვის მსხვერპლი გასაღებია, მტერი დასამარცხებელია: „ბრძოლის ყიჟინით ვეკვეთოთ მტრებს“ (არსენიშვილი 2019: 159). მტრის ცნება ტოტალიტარულ რეჟიმში

წარმოსახვით იდეალურ სამყაროში ფაქტობრივი რეალობის აღმქმელს მოიაზრებს, რომელიც ძალაუფლებით დამყარებულ სიმშვიდეს არღვევს. მტრის ხატის კონსტრუირება და დაგმობა ტექსტში საჯაროდ, საბავშვო ბაღის შენობაში ხორციელდება და პიროვნებების ზედმეტად ქცევის (ჰანა არენდტი) აქტს მათივე შვილებს ასწრებენ და ცდილობენ, მშობლების უარყოფის თანამონაწილეები გახადონ: „-მამაშენი მიხა შამანაური ხალხის მტერია! გმობ თუ არა მამაშენის საქციელს, აუწყე ხალხს!“ (არსენიშვილი 2019: 290) ასე მიმართავს „მტრის დამგმობი“ იამზე შამანაურს, რომელსაც ღრმად სწამს, რომ ვაჟა-ფშაველას მეგობარი მამამისი ქვეყნის მტერი ვერასოდეს იქნებოდა და მეგობრობის სადემონსტრაციოდ წარადგენს მამის დაწერილ მოგონებებს ვაჟაზე. წიგნი საჯაროდ დაიხევა და ამით მეხსიერების დასჯა (*demnatio memoriae*) განხორციელდება ბაღის შენობაში. საჯარო ადგილას ვაჟა-ფშაველაზე მოგონებების განადგურება ცხადია, მხოლოდ მატერიალური განადგურების აქტი არ არის, ის უფრო სიმბოლურ ოსტრაციზმს (ასმანი) ნიშნავს, რაც კონკრეტული სახელების/ავტორების განადგურებასთან არის დაკავშირებული. მთხრობელის მამის საჯარო გაკიცხვის მიზეზი ნაციონალური ღირებულებების გაღვივების მცდელობაა მუშათა კლასში: „იმის მაგივრად, კლასობრივი შეგნება აემალლებინა, მსოფლიო რევოლუციაზე მოეთხრო, ვინრო ნაციონალისტურ და შოვინისტურ განწყობილებებს უღვივებდა... ილია ჭავჭავაძეზე და ქართველ მეფეებზე მოუთხრობდა...“ (არსენიშვილი 2019: 279). მთხრობელის მამა ტექსტში წარმოჩნდება პერსონაჟად, რომლის გადაკეთება ურთულდება რეჟიმს, ამიტომ იწყებს კარგად ნაცადი და არაერთგზის გამოყენებული მიდგომის ამოქმედებას: „უფრო ადვილია, კაცი მოკლა, ვიდრე გადააკეთო“ (არსენიშვილი 2019: 416).

რეპრესიული დავიწყება ნაკლებ დრამატულად, მაგრამ უფრო მეტად ეფექტურად ხორციელდება „სტრუქტურული ძალადობით“, რაშიც ასმანი გულისხმობს ცენზურის ქვეცნობიერ ფორმებს და ასევე საზოგადოებრივ-კულტურულ წყაროებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას. სტრუქტურული ძალადობა იმაზე ზრუნავს, რომ მხოლოდ ერთი ხმა იყოს გასაგონი, დანარჩენი კი – არა. გაიატრი ჩაკრავორტი სპივაკი თავის ძალიან ცნობილ ესეში: „შეუძლია სუბალტერნს ლაპარაკი?“ (*Can the subaltern speak?*) (Spivak 1988) მსჯელობს რეპრეზენტაციის სხვადასხვა მნიშვნელობასა და ფორმაზე. სუბალტერნი, მკვლევრის მიხედვით, არის ის, ვინც სტრუქტურულად გარიყულია და ვისი ამბოხიც უჩინარია. ლაპარაკი, სპივაკის მიხედვით, ნიშნავს ლაპარაკის აქტი სოციო-ლინგვისტური თვალსაზრისით სრულყო, რაც მოიაზრებს იმას, რომ მოლაპარაკის გზავნილი ადრესატის მიერ აღქმული უნდა იყოს. ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე არა მხოლოდ სანდო კომუნიკაციის პრობლემას, არა-

მედ პოლიტიკურ გავლენას ეხება, ასეთ ფენომენს სპივაკი უწოდებს „ეპისტემურ ძალადობას“ (epistemic violence) (Spivak 1988: 70). ზაირა არსენიშვილის ტექსტში ფაქტობრივი სინამდვილის აგების ძალაუფლება ტოტალიტარული რეჟიმის ხელშია, შესაბამისად, ისტორიის გაყალბებით, წარსულზე ხელმისაწვდომის გაუქმებითა და ტერორით კონტროლირდება, რომელი ჯგუფის ხმა შეიძლება იყოს გასაგონი – ამბოხის, უკმაყოფილო, ანალიზური ხმის გაუჩინარებისა და კონტროლის მექანიზმი ტოტალიტარიზმში „გულაგები“ და „ლაგერები“, სადაც პიროვნების სულიერ განადგურებასა და სამყაროსაგან მოწყვეტას მიმართავენ (ბრეგაძე 2019: 21). სუბალტერნი პერსონაჟები რომანში ან სხვის სახლში არიან შეკედლებულები, ან დახვრეტილები, ან გადასახლებულები. ჩიკო და რუსუდანი სტალინს წერილს წერენ იმ უსამართლობების შესახებ, რაც თავს დაატყდათ ოჯახებს. ჩიკოს გულით სჯერა, რომ ბელადმა არ იცის იმ უმსგავსობების შესახებ, რასაც ხელქვეითები სჩადიან, ამიტომაც წერილის მიწერა ბელადისათვის მშობლების გადარჩენის გზად ესახება. გმირი-ბელადი, რომლის შესახებაც პროპაგანდა ბაღში დიად ამბებს აწვევთბდა, შეუმცდარია (ჰანა არენდტი), ის მომავალს ჭვრეტს და ბედნიერების საზომით აგებს, ამიტომაც სიკვდილის წინაც ჩიკო ძია სტალინის წერილს მოიკითხავს, იმ წერილზე პასუხს, რომელიც არასოდეს წაუკითხავს სტალინს. ბებია რუსუდანმა იცის, სტალინის სულისმხდელი ზრახვების შესახებ და მიზანმიმართულად ცდილობს, შვილიშვილს აცნობოს ისტორიის, ფსევდოგმირების რეალური საფუძველი: „გენაცვალოს ბებია, ... შენც ხომ აქედანვე უნდა იცოდე, ვინ ვინ არის“ (არსენიშვილი 2019: 333).

ბებია რუსუდანის პერსონაჟი ზაირა არსენიშვილის ტექსტში თერაპიული დავიწყების მნიშვნელობის გამცნობიერებელი და ამმოქმედებელია. ავტორი რუსუდანის როლსა და დანიშნულებაზე მიგვანიშნებს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ახალგარდა რუსუდანი მამა ლუკას თავისი ცხოვრების მიზანს ამცნობს: „ქვეყანას მინდა წავადგე, მამაო“ (არსენიშვილი 2019:114). რუსუდანმა იცის, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს წარსულის გახსენებასა და გახსენების საფუძველზე მის ანალიზს/გადაფასებას, ამისათვის აუცილებელია, ერთი მხრივ, ღირებულებათა მყარი სისტემა, რომელზეც დროთა ცვალებადობა და ინდოქტრინაციის პერმანენტული თავდასხმები ვერ აისახება, მეორე მხრივ, ისტორიის ფაქტობრივი ცოდნა, რაც ტექსტში ინდივიდუალურ ტრაგედიებსა და განცდებსაც მოიცავს და სწორედ ამით იძენს არსენიშვილის ტექსტი ექსტრალიტერატურული სინამდვილის ავთენტურად ასახვის საოცარ ძალას.

მომავალი თაობის (ჩიკოს, მთხრობელის მაგალითზე) ღირებულებათა მყარი სისტემის ჩამოყალიბებაში რუსუდანს, ევას, მაკას საკუთარი

როლი გათავისებული აქვთ და ისიც კარგად იცინან, რომ ტოტალიტარიზმში ძალისხმევის გაასმაგება გადამრჩენელ ძალად შეიძლება იქცეს – ტვინის გამორეცხვის სტრატეგიით „უჯრედის ნევრებად“ (არსენიშვილი 2019: 182) გადაქცევისაგან უნდა იხსნან თაობები, ამისათვის ცრუფსევდოს ნამდვილ ფასეულობებს უპირისპირებენ და ფიქციის ძალით წარმოადგენინებენ, თუ რატომ შეიძლება იყოს ჰამლეტი მარადიულად მორალური გმირი და სტალინი – დავინყებას მიცემული სულთამმუსვრელი: „ჰ, ეს უხსენებელი შექსპირთან რა სახსენებელია!.. ძია სტალინიც ერთ მშვენიერ დღეს უეჭველად გარდაიცვლება და დამიჯვრე, სამასი წლის მერე მას ასეთი დიდებით არავინ მოიხსენიებს..“ (არსენიშვილი 2019: 493). ჰამლეტის გზით სვლა სიმართლის ნყურვილს მოიაზრებს, კაცობრიული გულისთქმა და სიმართლის მსახურება ბოროტების აღმოფხვრის იარაღადაა გაცხადებული ტექსტში, კლავდიუსი კი – სტალინთან გაიგივებული, რომელიც მომავლის სურათებში სიძულვილს და ბოროტებას დაუკავშირდება და ამით განიდევენება/დამარცხდება ისტორიასა თუ ლიტერატურაში. შექსპირის „ჰამლეტის“ მსგავსად „ვა, სოფელოში“ შეშლილი გიგო ამოთქვამს რეჟიმის საშიში ბუნების შემზარავ სურათს – „საკრალური მამის“ ხატებაში გაერთიანებულია სისტემის ყველა რგოლი, რომელიც ყველაზე დამამცირებელ ჩაგვრის ფორმებს იყენებს „მტრის“ გასანადგურებლად და ამ მდგომარობიდან თავის დაღწევის გზებს არ ტოვებს, ამიტომაც შეშლილი გიგო მამის გამკიცხავ მთხრობელს, რომელიც მამას „სამარცხვინო დაღაჩრებას“ ვერ პატიობდა, საყვედურობს და უხსნის იმას, რომ: „ჭიანჭველა რომ შემოვიდეს ჩეკისტის ფორმით, გესმიის, ჭიანჭველა, მღილი და არარაობა, უნდა თრთოდე და კანკალებდე, შესაძრომ კუნჭულს ეძებდე და მაინც ვერ დაიძალები, მაინც გიპოვიან და შამფურზე აგაგებენ...“ (არსენიშვილი 2019: 306). გიგოს სჯერა, რომ აკუმულირებული ბოროტება ყოველთვის დროებითია, რადგან შიშით შექმნილი რეალობა უსაფუძვლოა, რომელიც დანგრევის წინაშე აუცილებლად დადგება და ამაში თავად ერთ დროს დამფრთხალი და ხმანართმეული ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას და სისტემაც „დაინ-გრევა...დაინ...გრევა...“ (არსენიშვილი 2019: 307).

მართალი სიტყვის მსახურებას ანდერძად უბარებს რუსუდანი შეილიშვილს, რადგან იცის, რომ „თუ სწრაფად დაივინყე შენიანების ისტორია, კაი დახლიც დაგიდგება!“ (არსენიშვილი 2019: 155). რუსუდანმა იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს შეულამაზებელი ისტორიის ცოდნას, რომელიც ანმყოს გაცნობიერებასა და მომავლის კონსტრუირებას შეაძლებინებს თაობებს, ამიტომაც აფრთხილებს მთხრობელს, „ნელი უთოთი“ გააუთოვოს პირველი რევოლუციისდროინდელი პროკლამაციები და მუზეუმს გადასცეს, რაც ნათელს ხდის რუსუდანის განზრახვას, წარსულის ფაქტე-

ბის ცოდნითა და ფლობით ანმცოს კონტროლის შესაძლებლობა არავის მისცენ მომავალმა თაობებმა. ტოტალიტარიზმის პერიოდის ანალები ცალკეული ადამიანის ტრაგედიის სიმძაფრეს ვერ შეაგრძნობინებს სხვა ეპოქის შვილებს, ამიტომაც უნდა იცოდეს შვილიშვილმა წვრილად, რომ შვილის ცხდერის მომპარავი და საკუთრი ხელებით დამმარხავი დედები, ბებების გარდა, სხვა ოჯახებსაც ჰყავს და ტანჯვის გაზიარება მნიშვნელოვანია ტრავმის გადასალახად. სხვების ტანჯვის რეალობის უარყოფით ადამიანები მხოლოდ სხვის ტანჯვაზე პასუხისმგებლობას კი არ ირიდებენ, არამედ უარს ამბობენ ასევე საკუთარი ტანჯვის სხვისთვის გაზიარებაზე, მაშასადამე, იმით, რომ უარს ამბობენ სხვის ტანჯვაში შემსუბუქების მიზნით მონაწილეობაზე, სოციალური ჯგუფები ზღუდავენ სოლიდარობის გამოვლენას და სხვებს წირავენ მარტო ტანჯვისთვის (Alexander 2004: 2). ეროვნული ტრავმები კი წარმოიქმნა ინდივიდუალური და კოლექტიური რეაქციით იმ დამანგრეველი მოვლენის მიმართ, რომელმაც სოციალური სამყაროს საფუძვლები შეარყია (Neal 1998). ტრავმული გამოცდილება არ უნდა იყოს უგულებელყოფილი, ამისათვის კი წარსულის რეფლექსიას გახსენების საფუძველზე უნდა მიმართონ: „მათ, ვისაც არ შეუძლია გაიხსენოს წარსული, დაგმობილია მისი ხელახლა განმეორებით“, მაშასადამე, თუ არ გაანალიზდება წარსულის მოვლენები და მათ არ მიაკუთვნებენ ისტორიასა და კულტურაში შესაბამის საიდენტიფიკაციო ნიშანს, რაც მოიაზრებს იმას, თუ წარსულის რომელი მოვლენები შეფასდა ერის თვითგანმსაზღვრელად და რომელი შემფერხებლად, ტრავმული წარსულის ხელახლა თავს დატყდომა შესაძლებელია.

თერაპიული და რეპრესიული დავიწყების კონტრასტი ზაირა არსენიშვილის რომანის დასასრულს მთხრობელისა და ჯონდოს შეხვედრით არის გადმოცემული – მთხრობელს გაცნობიერებული აქვს საბჭოთა სისტემის აბსურდულობა და დასრულების გარდაუვალობა, ის ინდიფერენტულია ბელადის სიკვდილის მიმართ და არ უერთდება საყოველთაო გლოვას, მგლოვიარე ჯგუფს გამოყოფილი ინდივიდია განსაზღვრული ღირებულებებით, რომელიც სტალინის რეჟიმმა ვერ გადააკეთა, ვერ გადაავარა და ბევრი ბოროტების მნახველს, მსმენელსა და მსხვერპლს არ დაუკარგავს ადამიანების რწმენა და ემპათიის განცდა, მას შეუძლია ეცოდებოდეს ალიოშა, საკუთარი სახლის, ბიძის საფლავის მიმტაცებელი, ადამიანების მკვლელი მანქანა: „შემეცოდა, ოჰ, როგორ შემეცოდა. უნებლიეთ გამახსენდა ის თოთხმეტი წლის ბიჭი, რომელიც, დაპატიმრების წინ მაგიდას ურბენდა... მაგრამ, ვფიცავ, არცერთი წუთით არ მქონია განცდა ნიშნისმოგებისა, პირიქით, სწორედ ამიტომ მეცოდებოდა, თავისი ცხოვრების გამო...“ (არსენიშვილი 2019: 596).

ჯონდოს პერსონაჟი რეპრესიულ დავიწყებას ისისხლხორცებს – დაბადებიდან ართმევენ მას ინდივიდალ ქცევის შესაძლებლობას და არქმევენ სახელს „დიდი რევოლუციისა“ და „დიდი ადამიანების“ პატივსაცემად. ართმევენ ნაციონალურ-კულტურული საფუძვლების ცოდნის უფლებას (ჯონდომ არ იცის „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ, რას შეიძლება ნიშნავდეს ავთანდილისა და ტარიელის საგმირო ამბები) და ამით ეროვნული იდენტიფიკაციას, ამიტომაც სტალინის სიკვდილით ჯონდოს ცხოვრებას არსი ეცლება, რადგან ის საკუთარ თავს სტალინთან ერთიანობად მოიაზრებდა: „ხედავ... ხედავ... როგორ ხვდებიან... არა, ჯერ არ შეწყდება... არა მის გარეშე როგორ უნდა ვიყოთ... შეიძლება?! განა ეს შეიძლება?!“ (არსენიშვილი 2019: 594)

ბებია რუსუდანის მიერ შექმნილი და დასათაურებული შემდეგი სამი ლოცვა: „ვედრების ლოცვა“, „შენდობის ლოცვა“ და „მადლობის“ ლოცვა ტოტალიტარული ყოფაგამოვლილი გადარჩენილი ინდივიდის ცხოვრების ფაზებს ასახავს – როგორ ეპატრონება „ბოგანო“ ქვეყანას და ლამობს ადამიანთა სულის დამცრობას დამონებისა და ერთპიროვნული გაბატონების მიზნით, ამიტომაც მიმართავს უზენაესს ბოროტებით თავზარდაცემული, რომ ნუ დაუშვებს მონაგარის გაპარტახებას:

უფალო კვლავაც გვედრები,
მესაჭეობას ნუ მიანდობ ბრიყვს და უმეცარს,
ვის ტვინშიაც ჩიტი ნისკარტს ვერ დაისველებს...
(არსენიშვილი 2019: 658)

მეორე ლოცვაში იკითხება სასონარკვეთა, რომელიც მოსდევს გაუთავებელ ტრაგედიებს, მოძმეთა დაცემას – ფიზიკურ, სულიერ, მორალურ კვდომას, რაც ნიჰილიზმის საფუძველს იძლევა და თავის დაღწევის გზა მომავლის ოცნებადაც არ ისახება:

შემინდე უფალო, თუ აღარ მსურს,
თვალხილული ვიარებოდე შენს მიერ შექმნილ ქვეყანაზე...
მაშ, დამიხუჭე თვალი, უფალო ...
(არსენიშვილი 2019: 659)

მესამე ლოცვა თერაპიის განმაკურნებელ შედეგს გვატყობინებს: მას შემდეგ, რაც ტანჯვის გაზიარება ამბების გაცხადების საფუძველზე შესაძლებელი გახდა, ამ აქტით ტრავმის გადალახვა მოხერხდა. საბჭოთა ბოროტებიდან სინდისხმაშენარჩუნებულ ინდივიდთა (შვილიშვილი-ყლორტი) მორალური გადარჩენა ამშვიდებს ტკივილიანი ცხოვრების მნახველ რუსუდანს და არწმუნებს იმაში, რომ ცხოვრების ახლიდან დანყება უკვე მომავლის რეალობად შეიძლება იქცეს:

გმადლობ, უფალო,
არ გამწირე შენ საბოლოოდ და ფუტურო ხეს
შემარჩინე პატარა ყლორტი...
(არსენიშვილი 2019: 660)

დასკვნა

ზაირა არსენიშვილის რომანის „ვა, სოფელო“ ანალიზმა ალექსანდრის დაინყების, კერძოდ, რეპრესიული და თერაპიული დაინყების, ფორმების გამოყენებით ნათელი გახადა, თუ რა მიზნით მიმართავდნენ ტოტალიტარულ რეჟიმში წარსულის კონტროლის საშუალებებს და რატომ ჰქონდა წინააღმდეგობრივი ძალა ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებას. წარსულის დაინყება ერთდგვარ იარაღს წარმოადგენდა საბჭოთა სისტემისათვის, რათა დაპატრონებოდა აწმყოს და გაეთიშა ინდივიდების ერთიანობა, რომ ილუზიური კეთილდღეობის სურათების აგება შესძლებოდა და ეკონტროლებინა, რომელი ჯგუფის ხმა ექცია გასაგონად და რომელი ხმა გაექრო ტერორის, განადგურებისა და პროპაგანდის ძალით, რადგან წარსულის ამბების გახსენებით, ალიარებით თაობები ერთმანეთის გაგებასა და ტანჯვის გაზიარებას სწავლობენ, რაც სოციალური მშვიდობის წინაპირობად შეიძლება იქცეს.

დამონებანი:

- Arendt'i, Hana. *T'ot'alit'aruli Modzraoba*“. Mtargmneli Tamar Tsopurashvili. Shesavali Tanamedrove Azrovnebashi. Tbilisi: “Ilias sakhelmts'ipo universit'et'i” (არენდტი, ჰანა. *ტოტალიტარული მოძრაობა*. მთარგმნ. თამარ ცოფურაშვილი. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018).
- Arsenishvili, Zaira. *Va, Sopelo*. Tbilisi: “Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba”, 2019 (არსენიშვილი, ზაირა. *ვა, სოფელო*. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2019).
- Assmann, Aleida. *Formen des Vergessens*. Göttingen: Wallstein Verlag, 2018.
- Bregadze, K'onst'ant'ine. „Hana Arendt'is T'ot'alit'arizmis Teoria (dziritadi asp'ekt'ebi)“. K'r-shi: *St'alinis Idiologema da Mitologema Kartul Sabch'ota da Emigrant'ul Lit'erat'urashi*. Tbilisi: gamomtsemloba „mts'ignobari“, 2019 (ბრეგაძე, კონსტანტინე. „ჰანა არენდტის ტოტალიტარისმის თეორია (ძირითადი ასპექტები)“. კრ-ში: *სტალინის იდიოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში*. თბილისი: გამომცემლობა „მნიგნობარი“. 2019)
- Erl, Astrid & Roggendorf Simone. “Kulturgeschichtliche Narratologie: Die Historisierung und Kontextualisierung kultureller Narrative“. *Neue Ansätze in der Erzähltheorie*. Wissenschaftlicher Verlag Trier. 2002.

Rat'iani, Irma. „T'ot'alit'aruli Rezhimi da K'ult'uruli K'ont'ekst'is Maszed Damok'idebuleba“. K'r-shi: *St'alinis Idiologema da Mitologema Kartul Sabch'ota da Emigrant'ul Lit'erat'urashi*. Tbilisi: gamomtsemloba „mts'ignobari“. 2019 (რატიანი, ირმა. „ტოტალიტარული რეჟიმი და კულტურული კონტექსტის მასზედ დამოკიდებულება“. კრ-ში: *სტალინის იდიოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში*. თბილისი: გამომცემლობა „მნიგნობარი“, 2019).

Spivak, Gayatri Chakravorty. *Can the Subaltern speak?* http://abahlali.org/files/Can_the_subaltern_speak.pdf (10.04.2021).

Tsagareli, Levan. „*Remythisierung des Nationalen Grigol Robakidses Die Hüter des Grals als Gedächtnisroman*“. Arcadia. DOI: 10.1515/dmpt-2019-0005.

Ts'ipuria, Bela. *Kartuli T'ekst'i Sabch'ota/P'ost'sabch'ota/P'ost'modernul K'ont'ekst'shi*. Tbilisi: „Ilias sakhelmts'ipo universit'et'i“, 2016 (წიფურია, ბელა. *ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტ-საბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში*. თბილისი: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2016).

Salome Pataridze
(Georgia)

The Significance of Therapeutic and Repressive Forgetting in Zaira Arsenishvili's “Oh, Life...”

Summary

Key words: “Oh, Life...” by Zaira Arsenishvili, cultural memory, the era of totalitarianism.

Zaira Arsenishvili, a Georgian screenwriter, musician and writer, notes in one of her interviews that it always surprised her that when reading Georgian literature of the 20th century, she could not find echoes of the horrific period of Georgian history - repressions – despite the fact that nearly every family in Georgia was directly or indirectly affected by repressions. Zaira Arsenishvili considered that repressions were the main theme of this epoch, and the reflection and reconstruction of repressions in fictional texts was a duty. Under totalitarianism, liberating power is embedded in cultural memory, and in these conditions, a collective identity can only be formed by separation from the possible oppressor, while literature plays the role of a medium of a collective memory in this process. According to Aleida Assman memory is always contracted as it relates to the perspectives and experiences of an individual or group. Placing something in memory is a valuable process, because it is the memory that creates community, but this process is impossible without forgetting. The function of remembering and forgetting is to subdue life. Aleida Assman distinguishes 7 forms of

forgetting. The first three forms of these (automatic forgetting, kept forgetting, selective forgetting) are neutral, according to Assman, and serve as a mental filter. The fourth form - repressive forgetting (*repressive vergessen*) and the fifth one - defensive forgetting (*defensive vergessen*) have a negative connotation, because in their case, forgetting is an instrument to stabilize an aggressive totalitarian environment and repressive social climate. The last sixth and seventh forms of forgetting - constructive and therapeutic forgetting - are clearly positive and refer to forgetting the traumatic past (Assman 2018: 67-68). *Damnatio memoriae* (condemnation of memory) is a form of repressive punitive forgetting which implies the symbolic destruction of the “enemy”, thereby destroying it. According to Assman, the condemnation of memory is a severe punishment because this act strongly affects and destroys a person’s existence. Those whose names have disappeared from the annals or have been removed from stone monuments, symbolically die a second time. In therapeutic forgetting, remembering is the cure to overcome the burden of history with recognition and remorse, and to leave it behind. It is important for reconciliation and social integration. A common violent history must be overcome, which will be made possible by remembering. Therapeutic forgetting has two phases: 1. Remembering 2. Forgetting. Out of these, remembering means collecting, processing and recognizing past events, while forgetting implies overcoming and distancing oneself for social peace and new beginning.

Zaira Arsenishvili’s novel ‘Oh, life’ describes historical and political events in Georgia from 1920 to 1950ies. The text highlights the importance of recognition of the past for self-determination and future orientation. By telling the story of Eva’s death and burial at the very beginning of the text, the author implicitly refers to the need to grasp and analyze the tragedy. Rusudan’s character appears to be the salvation for the next generation, as she realizes how a generation of her grandchildren will be able to live a new/purified life based on the revival of memories and the analysis of history.

Rusudan and Eva, who witness the “historical vicissitudes”, are described as individuals who recognize the true essence of the “great” revolution in the bud and throughout the strive to enable the generation of grandchildren to deconstruct the revolution and the totalitarian regime. Rusudan recognizes the dangers of the destructive force of totalitarianism that aims to turn a human into an outsider, an unneeded one (Hannah Arendt). Rusudan knows how important it is to remember, analyze and re-evaluate the past based on remembering. This requires, on the one hand, a solid value system that is not affected by changing of time and permanent attacks of indoctrination, and on the other hand - factual knowledge of history including personal tragedies and experiences. Thus, Arsenishvili’s text acquires the amazing power of authentic reflection of extraliterary reality. Rusudan knows the importance of knowing unvarnished history that will enable generations to understand the present and

construct the future, so she warns the narrator to iron the early revolution proclamations on a “low setting” and hand them over to the museum. This highlights Rusudan’s desire for future generations not to let anyone control present with the knowledge of past events.

The annals of totalitarianism cannot tell the severity of the tragedy of an individual to next generations. So, the granddaughter should know in detail that there are mothers from other families who stole and buried their children with their own hands, like her grandmother, and that sharing suffering is important to overcome trauma. Rusudan, Eva, and Maka have realized their role in shaping values of next generation (for example, Chico, the narrator), and they know that strengthened effort can be salvation from totalitarianism – they should save generations from “being cell-members” by confronting the false with real values.

In Zaira Arsenishvili’s novel, propaganda about the Soviet Union – as the sole alternative to a happy life - appeals and argues that sacrifice should be made, the enemy must be defeated. The notion of the enemy in a totalitarian regime presupposes a perceiver of actual reality in an imaginary ideal world that disrupts peace exercised with power. The construction and condemnation of the icon of enemy in the text takes place in public, in the kindergarten and the act of turning individuals into unneeded outsiders (Hannah Arendt) takes place in presence of children and they try to make them complicit in the rejection of their parents. Iamze Shamanauri, who is called upon to condemn his father, deeply believes that his father - a friend of Vazha-Pshavela - could never be the enemy of the country and demonstrates his father’s memoirs about Vazha as a demonstration of the friendship. The book was publicly torn down and thus the punishment of memory (*Damnatio memoriae*) was carried out in the building of kindergarten. The destruction of memories on Vazha-Pshavela in a public place is not an act of material destruction, rather it represents symbolic ostracism (Assman), which is related to the destruction of specific names/ authors. The reason for the public condemnation of the narrator’s father is an attempt to stir up national values in the working class. The narrator’s father is described as a character who is difficult for the regime to transform, so the regime begins to activate a well-trying and repeatedly used approach - it is much easier to kill a man than to transform him.

In the article, the analysis of Zaira Arsenishvili’s novel ‘Oh, life’ based on Aleida Assman’s repressive and therapeutic forms of forgetting, made clear the purpose of the means of controlling the past by the totalitarian regime and the reason it resisted historical memory. Forgetting the past was a weapon for the Soviet system to seize the present and dismantle the unity of individuals, to build and control images of illusory well-being, to decide which group’s voice was to be heard, and which voice was to be extinguished by terror, destruction, and propaganda, because by confession generations learn how to understand each other and share suffering, which can become a precondition for social peace